შპს „ბესტ აუდიტორი“

N2/4 *ოზურგეთი, 22 აპრილი 2026 წელი*

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 2025 წლის
ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ
შპს რადიო გურიას (ს/ნ 405787224) ხელმძღვანელთათვის

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია შპს საკონსულტაციო აუდიტორული კომპანია „ბესტ აუდიტორის“ (რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ს/კ 237112664), რეგისტრირებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-879109)) მიერ შპს რადიო გურიასთან 2026 წლის 16 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით ჩვენს მიერ განხორციელებული უნდა იქნას შპს რადიო გურიას (ს/ნ 405787224) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც თავის მხრივ შედგება 2025 წლის ბალანსისგან, მოგება-ზარალის ანაგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს.

აუდიტორმა დავით ხომერიკმა, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-225972, განვახორციელე შპს რადიო გურიას (ს/ნ 405787224) 2025 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საჭირო დოკუმენტაციის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ფინანსური ანგანრიშგების სტანდარტების მოთხოვნების დაცვასთან ერთად მოიცავს:

- შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომების გამოვლენა;

- გაცხადებას არის თუ არა არჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;

- ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით პროგნოზირებად მომავალში საწარმოო ფუნქციონირებას არ შეწყვეტს.

აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება და მოვამზადოთ დასკვნა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით. აუდიტი დაგეგმილი და ჩატარებული იქნა სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები, რომლებიც ჩვენგან აუდიტის ისეთ დაგეგმვასა და შემოწმებას მოითხოვს, რაც საშუალებას მოგვცემდა დავრწმუნებულიყავით, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ, პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორთა განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეუნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები.

SARAS-F-879109, ს/ნ 237112664. საქართველო, ოზურგეთი 3500, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 25
#25 Gabriel Episkoposis Str. 3500 Ozurgeti, Georgia
Tel.: (+995 95) 77-91-92 **E-mail:** ddkhom@yahoo.com

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვეთ აუდიტის დაკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს ჩვენთვის და შესაძლებლობას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებაზე დასკვნის სახით.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შპს რადიო გურია (ს/ნ 405787224) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია 2025 წლის 3 ივლისს. იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, პეტრე ქავთარაძის ქ., N14ბ, ბინა N80. 100 %იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი არის ჯაბა გველებიანი (პ/ნ 33001066138).

<u>დასკვნა:</u>

<u>წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, შპს რადიო გურიას (ს/ნ 405787224) ფინანსური საქმიანობის 2025 წლის საანგარიშო პერიოდის შესახებ, უტყუარად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისობაშია მისი საქმიანობის შედეგებთან. ასევე რეალურად ასახავს ფულადი ნაკადების მოძრაობას და 2025 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებებს. ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და სამართლიანად ასახავს საზოგადოების საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შედეგებს 2025 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის.</u>

შპს „ბესტ აუდიტორი“-ს დირექტორი: *დავით ხომერიკი*

SARAS-F-879109, ს/ნ 237112664. საქართველო, ოზურგეთი 3500, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 25

#25 Gabriel Episkoposis Str. 3500 Ozurgeti, Georgia

Tel.: (+995 95) 77-91-92 E-mail: ddkhom@yahoo.com